


ვამტკიცებ,

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი,

პროფესორი არჩილ ფრანგიშვილი



(ხელმოწერა)

(თარიღი)

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

ვლადიმერ ჭავჭავანიძის სახელობის კიბერნეტიკის ინსტიტუტის

დირექტორის თანამდებობაზე არჩევნების ჩასატარებელი კონკურსის
პირობები

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვლადიმერ ჭავჭავანიძის სახელობის
კიბერნეტიკის ინსტიტუტის დებულების მე-9 მუხლის თანახმად:

1. ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობა შეიძლება დაიკავოს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირმა, რომელსაც აქვს მუშაობის არანაკლებ 5 წლის სტაჟი.
2. ინსტიტუტის დირექტორის არჩევა ხდება 4 წლის ვადით.
3. ინსტიტუტის დირექტორს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ღია კონკურსის წესით თანამდებობაზე ირჩევს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო და ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი.
4. სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე დირექტორების კანდიდატურებს წარუდგენს საბჭოს, რომელიც კანდიდატის მიერ წარმოდგენილი პროგრამის საფუძველზე ირჩევს დირექტორს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
5. დირექტორობის კანდიდატებისათვის ხმის მიცემა ხდება ფარული კენჭისყრით. გაიმარჯვებს ის კანდიდატი, რომელიც მოიპოვებს ყველაზე მეტ ხმას, მაგრამ არანაკლებ სამეცნიერო საბჭოს სიითი შემადგენლობის ნახევრისა.

6. იმ შემთხვევაში, თუ არჩევნებში მონაწილეობას იღებდა ერთი ან ერთზე მეტი კანდიდატი და ვერც ერთმა ვერ მიიღო საკმარისი ხმები, სამეცნიერო საბჭოს მიერ ინიშნება ახალი კონკურსი, რომელიც უნდა ჩატარდეს სამეცნიერო საბჭოს მიერ დადგენილ ვადაში.

კონკურსში მონაწილეობის მსურველმა საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაურთოს:

1. განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
2. კალენდარული ავტობიოგრაფია (CV);
3. დასაკავებელი თანამდებობის შესაბამისი აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
4. გამოქვეყნებული, მათ შორის ბოლო 5 წლის განმავლობაში, სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი;
5. სამოქმედო პროგრამა;
6. სამეცნიერო გრანტებისა და სამეცნიერო მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტაციის ჩამონათვალი (სასურველია).

საბუთების მიღება იწარმოებს ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 11 საათიდან 17 საათამდე 2011 წლის 27 ოქტომბრიდან 28 ნოემბრის ჩათვლით.

კონკურსი ჩატარდება 2011 წლის 1 დეკემბერს.